

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შეცნეობისა და პროპაგანდის სამმართველო



K184. 841  
3

საგვიანო კომპოსტის მოყვანის ინსტრუქციული  
ტექნოლოგია

სკეზ-2000  
შემოწმებულია

თბილისი — 1981

საპარტვილოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მეცნიერებისა და პროპაგანდის სამმართველო



საგვიანო კომპოსტის მოხვანის ინფუსტრიული  
ტექნოლოგია

თბილისი — 1981

## საგვიანო კომბოსტოს მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგია

საგვიანო კომბოსტოს ინდუსტრიული ტექნოლოგიით მოყვანა მებოსტნეობის ყველა ზონაში შეიძლება, მაგრამ ამ მიზნით უფრო ხელსაყრელია მებოსტნეობის მეორე ზონა, (მთის წინა, ზომიერად თბილი ზონა), რადგან აქ არის კომბოსტოს მცენარეების ზრდა-განვითარებისათვის შესაფერისი კლიმატური პირობები და მექანიზაციისათვის გამოსადეგი ფართობი. კომბოსტოსათვის უკეთესი კლიმატი არის მებოსტნეობის მესამე—მთიან ზონაში, მაგრამ ინდუსტრიულ ტექნოლოგიის გამოყენებას აფერხებს მცირე ნაკვეთიანობა და არასწორი რელიეფი.

მებოსტნეობის პირველ ზონაში (ბარის სუბტროპიკული ზონა) ფართობი ხელს უწყობს ინდუსტრიული ტექნოლოგიის გამოყენებას, მაგრამ მეურნეობები გადატვირთულია სითბომოყვარული კულტურების წარმოებით, რომელთა მოყვანა მებოსტნეობის მეორე და მესამე ზონაში ნაკლებეფექტურია. ამასთან, ბარში კომბოსტო ნაკლებად ვითარდება და შედარებით დაბალ მოსავალსაც იძლევა. ინდუსტრიული ტექნოლოგიით საგვიანო კომბოსტოს წარმოება ამ ზონაში მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ ხელი არ შეეშლება სითბომოყვარული ბოსტნეულის წარმოებას.

**წინამორბედი კულტურები.** თესლბრუნვაში კომბოსტო იკავებს ორგანული სასუქებით განოციერებულ პირველ და მეორე მინდორს. წინამორბედად კარგია პარკოსანი კულტურები, კარტოფილი, პამიდორი, კიტრი და ძირხვენები, შეიძლება აგრეთვე სხვა კულტურებიც, მხოლოდ ისინი არ უნდა იქნენ ჭვაროსანთა ოჯახის.

**ნიადავის შერჩევა, განოციერება და დამუშავება.** უნდა შეირჩეს დიდი ფართობის მქონე, ნაყოფიერი, კარგი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების, ფესურიანი სარეველებისაგან და ქვებისაგან სუფთა, სწორზედაპირიანი, სარწყავი ფართობი.



საგვიანო კომბოსტოს ძირითად კულტურად (ე. ი. როცა ის გაზაფხულზე ირგვება) წარმოების შემთხვევაში, თუ ნაკვეთის ეფი უსწორმასწოროა, წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისთანავე (შემოდგომით) საჭიროა ნიადაგის აოშვა 4—6 სმ სიღრმეზე „ლდგ-5“ დისკოებიანი საოშით, რომელიც აგრეგატდება „მტზ-80“ ტრაქტორზე და შემდეგ ჩატარდეს ააშანდაკება დტ-75 მ ტრაქტორზე მისაბმელი „პ-2.8“ ან „მგ-6 0“ მანქანებით. თუ რელიეფი ძალიან უსწორმასწოროა, მაშინ საჭიროა ჯერ მოხვნა და შემდეგ მოშანდაკება.

ნიადაგის სინოცივრის მიხედვით პა-ზე საჭიროა შეტანილი იქნეს კარგად დაფხვნილი სასუქები: N 70-100, P 70-110, K 45-70 კგ და ნაკვეთი მაშინვე მოიხვნას „დტ—75 მ“ ტრაქტორზე საკიდი „პლნ-4-35 გუთნით 26-30 სმ სიღრმეზე. დაფხვნის მიზნით მინერალური სასუქები უნდა გატარდეს „ისუ-4“ მარკის სტაციონალურ დანადგარში. სასუქების შესატანად გამოიყენება „ნრუ-0,5“ ან „1-რმგ-4“ მანქანები, რომლებიც აგრეგატდებიან „მტზ-50“ ან „მტზ-82“ მარკის ტრაქტორზე.

კომბოსტოს ქვეშ კარგ შედეგს იძლევა გადამწვარი ნაკელის შეტანა 1 პა-ზე 60-100 ტონის რაოდენობით „1-პტუ-4“ მარკის მანქანით. მინერალური სასუქების ტრანსპორტში ჩატვირთვა უნდა მოხდეს „პბ-35 მარკის დამტვირთავი მოწყობილობით, რომელიც მონტაჟდება „დტ-75 მ“ ტრაქტორზე.

თუ ფართობის ზედაპირი არ საჭიროებს მოშანდაკებას, მაშინ წინამორბედი კულტურის მცენარეული ანარჩენები უნდა დაიჭრას, დაქუცმაცდეს თეფშებიანი „ბდნ-3,0“ ფარცხის ჯვარედინი გატარებით, შემდეგ განოციერდეს და მოიხნას აუცილებლად წინასახანისიანი გუთნით „პლნ-4-35“ 27-30 სმ სიღრმეზე. მზრალად ხვნა არ უნდა გადაშორდეს ნოემბრის თვეს.

ნიადაგში ტენის შენარჩუნებისა და სარეველების განადგურების მიზნით ადრე გაზაფხულზე მზრალი უნდა დაიფარცხოს „ბდნტ-2.2 მ“ „ბდნ-3,0“ ფარცხით, რომელიც ებმება „დტ-75 მ“-ზე. საერთოდ მზრალის გადახვნა დაუშვებელია, მაგრამ თუ ის ძალიან დაზეკილია ან დასარეველიანებულია უნდა გადაიხნას მხოლოდ 15-17 სმ სიღრმეზე.

როცა საგვიანო კომბოსტოს წარმოება მეორადი კულტურის სახით ხდება, მაშინ ნაკვეთის ძირითადი მოშანდაკება წინამორბედი კულტურის თესვა-რგვის წინ. (შემოდგომით) უნდა ჩატარდეს, რაც შეეხება ნაკვეთის გაწმენდას, განოციერებას და მოხვნას, საჭიროა



შესრულდეს ჩვეულებრივად, როგორც ზემოთ არის აღნიშნული მხოლოდ ამ შემთხვევაში ხნული მაშინვე უნდა დაიფარცხოს.

**ჯიში, თესლი და მიხი მომზადება დასათესად.** ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს საგვიანო კომბოსტოს დარაიონებული ჯიში ბრაუნშვეიგი გორული, აგრეთვე საშუალო მომწიფების—ბორჯომის იდეალი. თესლი საჭიროა იქნეს პირველი კლასის, დაყალიბებული ხედრითი წონის მიხედვით „სპ-5“ ან „სსპ-15“ პნევმატურ მაგიდაზე. შეიძლება აგრეთვე თესლის ჩაყრა სუფრის მარილის ან ამონიუმის გვარჯილის 5%-იან ხსნარში 5-6 წუთით. დასათესად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ხსნარში ჩაძირული თესლები, რომელიც საჭიროა ამოღებისთანავე გაირეცხოს გამდინარე წყლით და გაშრეს.

გადარჩეული თესლი, კომბოსტოს დაავადება შეფუცხას წინააღმდეგ 20 წუთით უნდა მოთავსდეს 48-50 გრადუსიან წყალში, შემდეგ საჭიროა გაშრეს. ხოლო კომბოსტოს ბაქტერიოზიტის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია თესლის შეწამვლა ტმტდ ან ფენითურამით, რისთვისაც რაიმე გლუფკედლიან ჭურჭელში მოცულობის 2/3—3/4 ნაწილზე იყრება კომბოსტოს თესლი და მას ყოველ კგ-ზე ემატება 4-5 პრეპარატი. იხურება ჰერმეტიულად და ინჯღრევა 5-10 წუთის განმავლობაში. ასეთი თესლი მაშინვე უნდა დაითესოს ან მცირედროით შენახული იქნეს დეზინფიცირებულ ჭურჭელში.

**ჩითილის გამოყვანა.** საგვიანო კომბოსტოს ჩითილი გამოყვანილი უნდა იქნეს სათანადოდ მომზადებულ ღია საჩითილე კვლებზე. ამ მიზნით ხნული იფარცხება და „ნრუ-0,5“ მარკის კომბინირებულ აგრეგატით ნიადაგის სინოციერის მიხედვით 3ა-ზე შეიტანება სათანადოდ დაფხენილი N 40-80, P 50-90, K 40-60 კგ, აგრეთვე მაგარი მინარევებისაგან სუფთა გადამწვარი ნაკელი 150-200 მგ, „1-პტუ-4“ ან „რპტმ-2“ ნაკელგამფანტველით. სასუქები მაშინვე უნდა ჩაქეთდეს ნიადაგში კულტივაციით და ფარცხით. თუ ნიადაგის ზედაპირი უსწორმასწოროა, გამოყენებული უნდა იქნეს მომზადკებელი, ხოლო ნიადაგის ბელტიანობის შემთხვევაში „კგფ-1.4“ ფრეზა-კულტივატორით უნდა ჩატარდეს განმეორებითი კულტივაცია-დაფარცხვა.

აღმოსავლეთ საქართველოს მეზოსტენობის პირველი ზონის (ზღვის დონიდან 500-მდე) პირველ ქვეზონაში (შიდა კახეთის დაბ-



ლობი) თესვა უნდა ჩატარდეს ივლისის პირველ დეკადაში. მეორე ქვეზონაში (ქვემო ქართლისა და გარე კახეთის დაბლობი) და ტენობის მეორე ზონის (ზღვის დონიდან 500 მ-მდე) პირველ ქვეზონაში (შიდა ქართლის და კახეთის მთის ნაწილი) ივნისის პირველ ნახევარში, ხოლო ამ ზონის მეორე ქვეზონაში (მესხეთის, სამხრეთ ოსეთის, დუშეთის და თიანეთის დაბლობი) მაისის პირველ დეკადაში.

დასავლეთ საქართველოს მებოსტნეობის პირველ ზონაში (აფხაზეთის, აჭარის, გურია-სამეგრელოს და იმერეთის დაბლობი ზღვის დონიდან 250 მ-მდე) საგვიანო კომბოსტო უნდა დაითესოს ივლისის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ზონაში (აჭარა, აფხაზეთის, გურია-სამეგრელოს და იმერეთის მთის წინა და რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი ზღვის დონიდან 250-1000 მეტრის ფარგლებში)—მაისის თვეში.

თესვამდე ორი დღით ადრე საჩითილე კვლებზე შეტანილი უნდა იქნეს ერთი რომელიმე პერბიციდი: მეზორანილი ჰა-ზე 1,5-2,0 კგ (მოქმედი ნივთიერების სახით), დაქტალი 6,0-10,0 კგ ან რამროდი 3,4-4,5 კგ. რომელიმე პერბიციდის აღნიშნული რაოდენობა სათანადოდ უნდა გაზავდეს 400 ლ წყალში და თანაბრად მოსხურდეს საჩითილე კვლებზე „ონ-400“ ან „პოუ“ მარკის მანქანით.

ინდუსტრიულ ტექნოლოგიით თესვა გათვალისწინებულია პუ-ნექტირული სათესით, რაც გამოირიცხავს აღმონაცენის გამეჩხერებას. მწკრივთშორის მანძილი უნდა იქნეს 10×4 სმ ან 8×5 სმ. ასეთი სათესის უქონლობის შემთხვევაში გამოიყენება ხორბლის ვიწრომწკრივიანი სათესი „სუბ-3.6“, რომელიც ერთი გავლით თესავს 48 მწკრივს 3,6 მ მოდეების განზე, მწკრივის 7,5 სმ დაშორებით. ჰა-ზე საჭიროა 1,8-2,0 კგ თესლი. იმისათვის, რომ მწკრივში თესლები ერთი-მეორისაგან განლაგდეს ყოველი 4—5 სმ დაშორებით, სათესლე მასალას უნდა შეერიოს 2-4 ჯერ მეტი რაოდენობის გრანულირებული სუპერფოსფატი ან მსხვილმარცვლოვანი სილა. ნათესი მაშინვე უნდა მოირწყას დაწვიმებით. სტანდარტული ჩითილის მისაღებად რწყვა უნდა ჩატარდეს ისე, რომ დაცული იქნეს ნიადაგის ზღვრული ტენტევალობის 80-90 %-ზე, (დაახლოებით 3-6 დღეში ერთხელ). აღმონაცენის მწკრივში გამეჩხერება საჭიროა 4-5 სმ-ზე. სარეველების მოშორება და მავნებელ-ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, უნდა შესრულდეს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომბოსტოს რწყვილებს, მისი გამოჩენისთანავე მცენარეებს „ოშუ-

50“ მარკის მანქანით უნდა შეეფრქვას ჰექსაქლორანი, როცა ჩითილი განვითარებს 4-5 ფოთოლს და მიღწევს 15-18 სმ, მზადაა დასარგავად.



**ნიადაგის დარგვის წინა დამუშავება.** სავეიანო კომბოსტოს ძირითად კულტურად წარმოების შემთხვევაში, დარგვის წინ ნიადაგის გაფხვიერების და სარეველების განადგურების მიზნით საჭიროა ჩვეატაროთ კულტივაცია „კპს-4“ მთლიანი დამუშავების კულტივატორით და თანმიყოლებული „ბზტს-1“ მარკის ფარცხით. ასეთივე სამუშაო ოპერაციები არის საჭირო მეორადი კულტურის წარმოებისას, თუ წინამორბედი კულტურის აღება და ოხენა კომბოსტოს ჩითილის დარგვის ვადაზე რამდენადმე ადრე ჩატარდა.

ჩითილის გადარგვის წინ სარეველების წინააღმდეგ ჰა-ზე შეტანილი უნდა იქნეს (ერთი რომელიმე) ჰერბიციდი: რამროდი 4,6-6,5 კგ, (მოქმედი ნივთიერება), დაქტალი 8,0-12,0 კგ, მეზორანილი 2,5-4,5 კგ; გადარგვამდე 7-12 დღით ადრე ტრეფლანი 1,5-2,0 კგ. ეს უკანასკნელი ძლიერ აქროლადია, ამიტომ ნიადაგში უნდა ჩაკეთდეს 5-7 სმ სიღრმეზე შესხურებისთანავე კულტივატორით, ჰერბიციდების შეტანის შემდეგ საჭიროა რამდენიმე დღეში მოიჩქყას ფართობი. ორგანული ნივთიერებით ღარიბ ნიადაგებში შეტანილი უნდა იქნეს ჰერბიციდების მოცემული დოზის მინიმუმი, ხოლო მდიდარ ნიადაგებში მაქსიმუმი.

**ჩითილის დარგვა.** სათანადოდ მომზადებულ ფართობზე ჩითილის დარგვა უნდა ჩატარდეს „სკნ-ნა“ მანქანით. რომელიც იკიდება მტზ-50“ მარკის ტრაქტორზე. ჩითილი საჭიროა დარგვის წინ 1-2 საათით ადრე მოიჩქყას ჭარბად, დასარგავად ვარგისია მხოლოდ სრულიად საღი 4-5 ფოთოლი განვითარებული 17-20 სმ სიმაღლის ჩითილი, რომლის ღეროს დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 5-მლ-ს, იმასთან დაკავშირებით, რომ კომბოსტოს მოსავლის ამღები მანქანების ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა თავის დიამეტრი იყოს 17-20 სმ, ხოლო მისი წონა 2.0-2.5 კგ, მოსავლიანობის ზრდის ძირითად ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ მცენარეთა რაოდენობის გადიდება ფართობის ერთეულზე. ამ მიზნით რგვა უნდა ჩატარდეს 70×40—50 სმ-ზე, ამ შემთხვევაში ჰა-ზე მოთავსდება 35,7 ათასი მცენარე, უკეთესია დარგვა ზოლებრივად 55+55+70 სმ, თუ არის „მსკ-3“ მარკის კომბაინის გამოყენების შესაძლებლობით, ჰა-ზე თავსდება 41 ათასი მცენარე.

ქ. მბრძანა სს. ნამ-  
სარ. ნამბ. მსო  
სის. მსა. მ. მ. მ.  
და. მ. მ. მ. მ. მ.

**ნარგაობის მოვლა.** დარგვისთანავე საჭიროა ამორწყვეთა შემდეგ რწყვა (დაწვივებით) უნდა ჩატარდეს საჭიროების მიხედვით იმ ანგარიშით, რომ დაცული იქნეს ნიადაგის ზღვრული ტენტევალობა 80—90% ფარგლებში. კულტივაცია საჭიროა 3-5 ჯერ „კორ-4.2“, „კრნ-4.2 ნ კრნ-2.8 მო“ მარკის კულტივატორით. თავების განვითარებისას უნდა ჩატარდეს მინერალური სსსუქებით გამოკვება ნიადაგის ტიპისა და სინოციერის მიხედვით N 40-60 კგ; P 30-50 კგ და K 30-50 კგ შეტანით. მავნებლების და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია გამოჩენისთანავე. ვეგეტაციის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო რწყვილების, ბუგრების, კომბოსტოს თეთრულას და სხვათა ბრძოლის მიმართ. შესაბამისი პრეპარატების შესხურება უნდა მოხდეს „პოუ“ ან „ონ-400“, ხოლო შეფრქვევა „ოშშ-50“ მანქანებით.

**მოსავლის აღება.** როცა თავები მიაღწევს ტექნიკურ სიმწიფეს, საჭიროა მოსავლის მექანიზებული აღება. პირველი სქემით ე. ი. რიგების 70 სმ-ზე დაშორებისას გამოიყენება კომბოსტოს ამღები ნახევრად საკიდი კომბაინი „მსკ-1“, რომელიც ერთი გავლით იღებს ერთ რიგს. მუშაობის პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ მიმმართველი კონუსების და გამაწონასწორებელი მწკრივების მეშვეობით მჭრელი დისკოები ძირში სჭრის ერთ მწკრივად განლაგებულ კომბოსტოს თავებს და ტრანსპორტიორის მეშვეობით აწვდის ფოთოლგამცლელში, აქედან თავები გადადის საინსპექციო მაგიდაზე, სადაც მომსახურე პერსონალი (ემსახურება 2 მუშა) თავებს ასუფთავებენ შერჩენილ ფოთლებისაგან და ტრანსპორტიორის საშუალებით იტვირთება ტრანსპორტში. კომბოსტო ტრანსპორტის საშუალებით მიაქვთ საცავში.

მეორე სქემით (55+55+70 სმ) დარგვის შემთხვევაში მოსავლის მისაღებად გამოყენებული უნდა იქნეს „მსკ-3“ მარკის კომბაინი, რომელიც ერთი გავლით იღებს 3-რიგს. ასეთ მანქანას უშვებს მებოსტნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ნიოხის) ექსპერმენტული ქარხანა (მოსკოვის ოლქი ქ. მიტიში.).



ბიუჯეტი

საგარეო ურთიერთობების სამსახურის ბიუჯეტი

მარტის თვე

მარტის თვე

დარბაზი - 20 ა.

№	სახელწოდება	საბიუჯეტო კოდი	ფინანსური წყაროები			მთლიანი რაოდენობა	საპროცენტო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საბიუჯეტო შემოსავლები				საბიუჯეტო ხარჯვები					
			მთლიანი	საპროცენტო	საფინანსო						საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო	საფინანსო
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	
1	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-80	1000-5	1	0,64	4,8	5	22,5	6,6	1	1	1	1	1,77	2,52	3,67	5,7	1,6	
2	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-799	1000-2,6	1	0,4	6,6	5	3,3	4,5	1	1	1	1	1,2	4,51	9,1	5,04	1,06	
3	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-799	1000-4-35	1	0,68	4,8	4	19,2	5,2	1	1	1	1	1,77	2,52	3,67	5,6	5	
4	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-124	238-400	1	1,38	1,6	3	28,8	2,1	1	1	1	1	0,71	1,03	0,46	2,1	0,4	
5	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-80	238-4	1	1,71	12,0	3	36,0	2,1	1	1	1	1	0,74	1,39	0,63	2,76	0,9	
6	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-1	238-1	1	1,71	12,0	4	48,0	1,6	1	1	1	1	0,59	0,92	0,62	2,14	0,6	
7	საგარეო ურთიერთობების სამსახური	30	238-799	1000-0,5	1	0,85	6,0	5	30	5,0	1	1	1	1	1,31	2,48	1,24	5,03	1,2	
8	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-799	238-35	1	45,7	320	3	960	1,88	1	1	1	1	0,45	1,49	0,43	2,07	0,45	
9	საგარეო ურთიერთობების სამსახური	9000	238-82	1000-4	1	8,0	240	5	2400	3,2	1	1	1	1	11,20	0,1	0,03	0,06	11,20	0,7
10	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
11	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
12	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
13	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
14	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
15	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
16	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
17	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
18	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
19	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
20	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
21	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
22	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
23	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
24	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	
25	საგარეო ურთიერთობების სამსახური	1000	238-82	1000-4	1	5,7	40	2	10	0,25	1	1	1	1	0,1	0,03	0,06	0,13	0,03	

საგარეო ურთიერთობების სამსახური

1 კა-ზე სასაწყობო, მანქანებისთვის და კა-ზე ფხვნილის რაოდენობა, მან.

საგარეო ურთიერთობების სამსახური

1 კა-ზე სასაწყობო, მანქანებისთვის და კა-ზე ფხვნილის რაოდენობა, მან.

1 კა-ზე სასაწყობო, მანქანებისთვის და კა-ზე ფხვნილის რაოდენობა, მან.

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГССР  
УПРАВЛЕНИЕ НАУКИ И ПРОПАГАНДЫ

**ИНДУСТРИАЛЬНАЯ ТЕХНОЛОГИЯ ВОЗДЕЛЫВАНИЯ  
ПОЗДНЕЙ КАПУСТЫ**

РЕКОМЕНДАЦИЯ

(на грузинском языке)

Тбилиси — 1981

დედანი მომზადდა გამოსაცემად  
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის  
სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების მიერ  
რედაქტორი მ. თორელაშვილი

შეკ. 886

უკ 14215

ტირ. 500

---

გადაეცა წარმოებ.ს 4.06.81 ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.08.81  
ენაწყოების ზომა 6X<sup>1</sup>/<sub>5</sub>. სასტამბო თაბახი 0,75  
სააღრიცხვეო-საგამომცემლო თაბახი 0,5

უფასო

სსსი სტამბა, თბილისი—31.

Типография ГрузСХИ, Тбилиси — 31.

22 / 8.